



საქმე №18/340-17

**გ ა ნ ა ჩ ე ნ ი**  
**საქართველოს სახელით**

7 სექტემბერი, 2017 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:  
თავმჯდომარე: გერონტი კახეთელიძე  
მოსამართლეები: კახაბერ მაჭავარიანი  
მაია თეთრაული

ნანა უნდილაშვილის მდივნობით,

სახელმწიფო ბრალმძებლების: ლევან ხაჭაპურიძის, ლევან ჟორჯოლაძის  
მსჯავრდებულის: ვ. ი.-ს  
ადვოკატის: ი. გ.-ს

მონაწილეობით,

ღია სასამართლო სხდომაზე, მსჯავრდებულ ვ. ი.-ს სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, განიხილა სისხლის სამართლის საქმე (გამოძიების №001290916002): ვ. ი.-ს დაბადებულის XXXX წლის XX თებერვალს, საქართველოს მოქალაქის (პ/ნ №XXXXXXXXXXXX), უმაღლესი განათლებით, დასაოჯახებელის, ნასამართლობის არმქონის, რეგისტრირებულის და ფაქტობრივად მცხოვრების: ქ. თ.-ში, გ.-ს X მკრ/რ-ნი, კორპ. №XX, ბინა №XX-ში, ამჟამად პატიმრის, მიმართ, დანაშაულებისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 179-ე მუხლის პირველი ნაწილით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით.

**აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი:**

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. ი.-მ ჩაიდინა სანადირო და სპორტული დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა, მანვე ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა, მანვე ჩაიდინა ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის და

ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქართ, მანვე ჩაიდინა პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფა, მის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

**გ. ი.-ს მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:**

2016 წლის 29 სექტემბერს, დაახლოებით 09:35 საათზე, **ქ. თ.-ში, გ.-ს X** მიკრორაიონის **XX** კორპუსში განთავსებულ „**ლ.ბ.-ს**“ ფილიალს თავს დაესხა ცეცხლსასროლი იარაღით - M&P – 15 მოდელის, №**SV XXXXX** შაშხანით შეიარაღებული **გ. ი.**, რომელმაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქართ მოლარე-ოპერატორებს - **გ. ჩ.-ს, რ. ჩ.-ს, გ. ა.-ს, თ. ფ.-სა და ლ. მ.-ს** გასტაცა სს „**ლ. ბ.-ს**“ კუთვნილი ფულადი თანხა 4880 (ოთხი ათას რვაას ოთხმოცი) ლარი. მისი ქმედება შემჩნეულ იქნა შს სამინისტროს გლდანი - ნაძალადევის სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლების - **უ. ბ.-სა და გ. ჯ.-ს** მიერ, რომლებმაც **გ. ი.-ს** განუცხადეს, რომ იყვნენ პოლიციელები და მოუწოდეს შეეწყვიტა დანაშაულებრივი ქმედება, თუმცა **გ. ი.-მ** ზემოთხსენებული ცეცხლსასროლი იარაღიდან მათი მიმართულებით გახსნა ცეცხლი და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან, ხოლო პოლიციელ **უ. ბ.-ს** მიაყენა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება, ცეცხლსასროლი ჭრილობის სახით.

2016 წლის 29 სექტემბერს, **ქ. თ.-ში, გ.-ს X** მიკრორაიონის **XX** კორპუსის №**XX-ში, გ. ი.-ს** საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული იქნა EM მოდელის, 16 კალიბრის ორლულიანი თოფის გადანაჭერი, ე.წ. „აბრეზი“, დაკომპლექტებული ორი ერთეული, ანალოგიური მოდელის №**XXXXX** და №**XXXXX** თოფის დეტალებისგან, რომელიც **გ. ი.-მ** უკანონოდ შეიძინა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში და ასევე უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში.

2016 წლის 29 სექტემბერს, **ქ. თ.-ში, გ.-ს XX** მიკრორაიონის **XX** კორპუსის №**XX-ში, გ. ი.-ს** საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული იქნა 113 (ას ცამეტი) ცალი ვაზნა. მათ შორის: 51 ცალი - ქარხნული წესით დამზადებული, 7,62 მმ. კალიბრის, Winchester .308 (1952 წ.) ნიმუშის ვაზნა, რომლებიც წარმოადგენენ საბრძოლო მასალას და ისინი **გ. ი.-მ** უკანონოდ შეიძინა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში და ასევე უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში.

52 ცალი - ქარხნული წესით დამზადებული, 5,56 მმ. კალიბრის, (1957 წ.) ნიმუშის ვაზნა, რომლებიც წარმოადგენენ საბრძოლო მასალას და ისინი **გ. ი.-მ** უკანონოდ შეიძინა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში და ასევე უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში.

1 ცალი - ქარხნული წესით დამზადებული, 7,62 მმ. კალიბრის, 1930/33 წლის ნიმუშის ვაზნა, რომელიც წარმოადგენს საბრძოლო მასალას და ის **გ. ი.-მ** უკანონოდ შეიძინა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში და ასევე უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში.

1 ცალი - ქარხნული წესით დამზადებული, 9 მმ. კალიბრის, „მაკაროვის“ კონსტრუქციისა და სტეჩკინის ავტომატური პისტოლეტებისთვის განკუთვნილი, 1951 წლის ნიმუშის ვაზნა, რომელიც წარმოადგენს საბრძოლო მასალას და ის **გ. ი.-მ** უკანონოდ შეიძინა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში და ასევე უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში.

1 ცალი - ქარხნული წესით დამზადებული, 9 მმ. კალიბრის, „მაკაროვის“ კონსტრუქციისა და სტეჩკინის ავტომატური პისტოლეტებისთვის განკუთვნილი, 1951 წლის ნიმუშის ვაზნა,

რომელიც წარმოადგენს საბრძოლო მასალას და ის **ვ. ი.-მ** უკანონოდ შეიძინა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში და ასევე უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში.

1 ცალი - ქარხნული წესით დამზადებული, 9 მმ. კალიბრის, 1908 წლის ნიმუშის „ლუგერის“ (პარაბელუმის ე.წ. P.08) ვაზნა, რომელიც წარმოადგენს საბრძოლო მასალას და ის **ვ. ი.-მ** უკანონოდ შეიძინა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში და ასევე უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში.

2016 წლის 30 სექტემბერს, **ქ. თ.-ში, ვ.-ს XX** მიკრორაიონის **XX** კორპუსში, **ვ. ი.-ს** საცხოვრებელი ბინის სხვენში ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებული იქნა ქარხნული წესით დამზადებული, ხრახნილლულიანი, სანადირო-სპორტული დანიშნულების, 5,6 კალიბრის TO3-8M („ტოზ-8მ“) მოდელის, **№XXXXX** მცირეკალიბრიანი შაშხანა, რომელიც **ვ. ი.-მ** უკანონოდ შეიძინა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში და ასევე უკანონოდ ინახავდა თავის საცხოვრებელი ბინის სხვენში.

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 მარტის განაჩენით:**

**ვ. ი.** ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) წლის ვადით.

**ვ. ი.** ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით.

**ვ. ი.** ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით.

**ვ. ი.** ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და **ვ. ი.-ს** დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) წლის ვადით.

გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით **ვ. ი.-ს** მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა და მსჯავრდებულ **ვ. ი.-ს** სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან - 2016 წლის 29 სექტემბრიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 მარტის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა **ვ. ი.-მ** სააპელაციო საჩივარში და სააპელაციო პალატის სხდომაზე შესავალ, დასკვნით და საბოლოო სიტყვაში **ვ. ი.-მ** მოითხოვა სასჯელის შემსუბუქება, კერძოდ, მისთვის საქართველოს სსკ-ის 353<sup>1</sup>-ე

მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული ყველაზე მძიმე სასჯელის მინიმუმამდე შემცირება, აგრეთვე, მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული დანების (თავისივე ჩასადებებით) დაბრუნება, რომლებზეც მსჯავრდებულმა განმარტა, რომ ისინი არის საკოლექციო და დარჩა მამამისისგან.

სააპელაციო პალატამ შეისწავლა რა საქმის მასალები, გაეცნო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებს, ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ გ. ი.-ს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილება უნდა იქნას შეტანილი შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის მოთხოვნათა ფარგლებში შეამოწმა გასაჩივრებული განაჩენი და თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ყოველმხრივ და ობიექტურად შემოწმდა ბრალდების მხარის მიერ შეკრებილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები, ანალიზი გაუკეთდა მათ, მოხდა მათი ერთმანეთთან შეჯერება. განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საჭიროა სამართლიანი განაჩენის გამოსატანად. მსჯავრდებულ გ. ი.-ს დანაშაულებრივ ქმედებებს მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება, იურიდიული კვალიფიკაცია სწორად არის დადგენილი.

საქმეში არსებული, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ და პრეიუდიციად იქნა მიჩნეული, კერძოდ, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის, დაზარალებულთა და მოწმეთა - უ. ბ.-ს, გ. ჯ.-ს, თ. ფ.-ს, გ. ა.-ს, ლ. მ.-ს, გ. ჩ.-ს, რ. ჩ.-ს, გ. შ.-ს, ა. ვ.-ს, დ. მ.-ს, ე. ლ.-ს, ბ. შ.-ს, ა. ტ.-ს, ხ. შ.-ს, მ. წ.-ს, კ. ს.-ს, ი. რ.-ს, დ. გ.-ს, რ. კ.-ს, ნ. თ.-ს, ლ. ნ.-ს, ხ. ჯ.-ს, ლ. გ.-ს დაკითხვის ოქმების, ბრალდებულ გ. ი.-ს აღიარებითი ჩვენების, ავტომობილის დათვალიერების ოქმის, ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის, საცხოვრებელი ბინისა და მისი სხვენის ჩხრეკის ოქმების, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებების, საგამომიებო ექსპერიმენტის ოქმის, ბალისტიკური, ბიოლოგიური (გენეტიკური), ოდოროლოგიური, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების შეფასებისა და გაანალიზების შემდეგ პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ გ. ი.-მ ჩაიდინა საქართველოს სსსკ-ის 353<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 179-ე მუხლის პირველი ნაწილით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები. უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო პალატა გ. ი.-ს ბრალეულობის დამადასტურებელ ზემოხსენებულ მტკიცებულებებს განიხილავს და აფასებს არა ცალ-ცალკე, განყენებულად, არამედ ერთობლიობაში, ზემოხსენებული მტკიცებულებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ავსებენ და ადასტურებენ ერთი-მეორეს, ხოლო მათი ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადგენს და ადასტურებს გ. ი.-ს მიერ ბრალად შერაცხული კვალიფიკაციით დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენას.

რაც შეეხება მსჯავრდებულ **გ. ი.-სთვის** დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნულ სასჯელს, სააპელაციო პალატა ვერ დაეთანხმება მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქების შესახებ. პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით, დანაშაულთა ერთობლიობით, მისთვის დანიშნული სასჯელის სახე და ზომა სრულად შეესაბამება როგორც მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებლებს, ისე მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების ხასიათს და სიმძიმეს, იგი სავსებით უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელებას, როგორცაა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენა. ახალი დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით პალატა ყურადღებას მიაპყრობს სასჯელის გამოყენების პრევენციულ ხასიათს, რომელიც უნდა ემსახუროდეს საზოგადოების სიმშვიდეს და უსაფრთხოებას, კრიმინალის შემცირებას, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის, საკუთრებისა და მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავიდან აცილებას. მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებებს და მან სადავოდ არ გახადა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რითაც ხელი შეუწყო საქმეზე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას, სააპელაციო პალატა, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, ყურადღებას ამახვილებს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების სიმრავლეზე, დანაშაულის ჩადენის ადგილსა და ხერხზე, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებაზე, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომაზე, კერძოდ, იმ გარემოებებზე, რომ, როგორც დადგენილია, მსჯავრდებული **გ. ი.** პოლიციის ყოფილი თანამშრომელია, ს/ს „**ლ. ბ.-ს**“ ფილიალზე ყაჩაღურ თავდასხმამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, პირადი პატაკის საფუძველზე, დათხოვნილი იქნა შს სამინისტროდან. ამდენად, პოლიციელის, თუნდაც ყოფილი თანამშრომლის, რომელიც პირველ რიგში უნდა იდგეს კანონის დაცვის სადარაჯოზე, მიერ დანაშაულის ჩადენა მაღალი ხარისხით ეწინააღმდეგება დადგენილ მართლწესრიგს, ზნეობისა და კულტურის ნორმებს. გარდა ამისა, პალატა ყურადღებას ამახვილებს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულებრივი ქმედებების (მხედველობაშია საქართველოს სსკ-ის 353<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებები) განხორციელების სახესა და ხერხზე, მათ მომეტებულ საშიშროებაზე, რომ **გ. ი.-მ** ჯერ ყაჩაღური თავდასხმა, შემდეგ კი პოლიციელთა მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლები განახორციელა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რა დროსაც საფრთხე შეექმნა რიგითი მოქალაქეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, დაზიანდა მოქალაქეთა კუთვნილი ქონება. სააპელაციო პალატის აზრით, აღნიშნული გარემოებები გათვალისწინებული უნდა იქნას მსჯავრდებულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს, რაც მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნება სანქციის მინიმუმთან მიახლოებული სასჯელის დანიშვნის საფუძველი. გარდა აღნიშნულისა, პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულ **გ. ი.-სთვის** დანაშაულთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელი მის მიერ ჩადენილი ქმედებების პროპორციულია, რათა მსჯავრდებულმა გააცნობიეროს ჩადენილი ქმედებები, გამოიტანოს სათანადო დასკვნები და მოახდინოს საკუთარი თავის რეაბილიტაცია. რაც შეეხება დაცვის მხარის აპელირებას იმ გარემოებაზე, რომ **გ. ი.** წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა, პალატა მიიჩნევს, რომ წარსულში ნასამართლობის არქონა არ უნდა ჩაითვალოს მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქების მოტივად, ვინაიდან დანაშაულის არჩადენა ამა თუ იმ ასპექტში ადამიანს რაიმე უპირატესობას კი არ ანიჭებს, არამედ ყოველი მოქალაქე მოვალეა დაიცვას მართლწესრიგი, საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს

საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს (საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლი).

რაც შეეხება დაცვის მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულ ვ. ი.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული საკოლექციო დანების (თავისივე ჩასადებებით) დაბრუნების შესახებ, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს. საქმეში არსებული ვ. ი.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ ჩხრეკისას ამოღებული იქნა შვიდი ცალი სხვადასხვანაირი დანა თავისივე ჩასადებებით, რომლებიც დაილუქა პაკეტებში სხვადასხვა ლუქით. საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომ აღნიშნული დანები წარმოადგენს ვ. ი.-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების იარაღს ან საგანს ან მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით. ვ. ი.-ს განმარტებით, აღნიშნული დანები საკოლექციოა და მემკვიდრეობით დარჩა აწ გარდაცვლილი მამამისისგან, ამდენად, მათ გააჩნიათ ღირებულება. აღნიშნულის საწინააღმდეგო რაიმე მტკიცებულება საქმეში არ არსებობს. შესაბამისად, სააპელაციო პალატის აზრით, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის ნივთიერი მტკიცებულებების ნაწილში მითითება ზემოხსენებული დანების (ქარქაშებით) საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურების შესახებ, არ არის კანონიერი და არღვევს მესაკუთრის უფლებებს, რის გამოც ცვლილება უნდა შევიდეს განაჩენში და ზემოხსენებული დანები თავისი ჩასადებებით უნდა დაუბრუნდეს მათ მესაკუთრეს.

### ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 298-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

### დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ვ. ი.-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 მარტის განაჩენში ვ. ი.-ს მიმართ, ცვლილება იქნას შეტანილი;

ვ. ი. ცნობილ იქნას დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) წლის ვადით;

ვ. ი. ცნობილ იქნას დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) წლის ვადით;

ვ. ი. ცნობილ იქნას დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით;

**გ. ი.** ცნობილ იქნას დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქოს ნაკლებად მკაცრი სასჯელები და **გ. ი.-ს** დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, **სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) წლის ვადით;**

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით **გ. ი.-ს** მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა და მსჯავრდებულ **გ. ი.-ს** სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან - 2016 წლის 29 სექტემბრიდან;

### **ნივთიერი მტკიცებულებები:**

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ:

შემთხვევის ადგილის ამსახველი ფოტოსურათები, ოთხ ცალ DVD ფორმატის დისკზე; საგამომიებო ექსპერიმენტის ფოტოსურათები, ორ ცალ DVD ფორმატის დისკზე; ავტომანქანის დათვალიერების ფოტოსურათები, ერთ ცალ DVD დისკზე; ბინის ჩხრეკის ფოტოსურათები, ერთ ცალ DVD დისკზე; სხვენის ჩხრეკის ფოტოსურათები, ერთ ცალ DVD ფორმატის კომპიუტერულ დისკზე; ვიდეო-რეგისტრატორის ვიდეოჩანაწერი, ერთ ცალ DVD ფორმატის კომპიუტერულ დისკზე; „**ლ. ბ.-ს**“ ვიდეოჩანაწერი, ერთ ცალ DVD ფორმატის დისკზე; **უ. ბ.-ს** ავადმყოფობის ამსახველი რენტგენოფირები ერთ ცალ კომპიუტერულ დისკზე - დაერთოს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს საქმის შენახვის ვადით;

**უ. ბ.-ს** სამსახურებრივი საშტატო ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდით და შვიდი ცალი ვაზნით, **უ. ბ.-ს** ტანსაცმელი, **გ. ჯ.-ს** სამსახურებრივი საშტატო ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდით და ოთხი ცალი ვაზნით - დაუბრუნდეთ **უ. ბ.-ს** და **გ. ჯ.-ს**;

**გ. ი.-ს** ბინიდან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი, კერძოდ, ერთი ცალი შავი ფერის „ბარაზნიანი“ პისტოლეტი და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი - დაუბრუნდეს მსჯავრდებულს (სასჯელის მოხდის პერიოდში დაევალოს შსს შეიარაღების სამსახურს მათი შენახვა), ხოლო მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღი და ასევე სანადირო და სპორტული დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღი (ორლულიანი თოფი, ამოღებული სხვენის შესასვლელიდან) და საბრძოლო მასალა - საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღების სამსახურს სათანადო რეაგირებისათვის;

**გ. ი.-ს** საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებული 4360 ლარი - დაუბრუნდეს დაზარალებულ კომპანია სს „**ლ. ბ.-ს**“;

ერთი ცალი საფულე პირადი ნივთებით, ერთი ცალი ნაჭრის საფულე ოქროს და ვერცხლის სამკაულებით, ერთი ცალი მებსიერების ბარათი, ოპტიკური სამიზნე საგნები, კომპიუტერის პროცესორი, ერთი ცალი fly-ის ფირმის მობილური ტელეფონი, შვიდი ცალი დანა თავისი ქარქაშებით (ჩასადებებით) - დაუბრუნდეს მსჯავრდებულის ნდობით აღჭურვილ პირს;

შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ხელის კვლები დაქტილოფირებზე, ავტომანქანის დათვალიერების დროს ავტომანქანიდან ამოღებული ხელის კვლები, სუნის კვალის ნიმუშები, მირკონაწილაკების ნიმუშები ამოღებული ავტომანქანის უკანა სავარძლიდან, ერთი ცალი პარიკის მსგავსი საგანი, **ვ. ი.-ს** საცხოვრებელი ბინიდან ამოღებული შავი ფერის ნაქსოვი ქუდი სამი ცალი ნახვრეტით, ერთი ცალი შავი ფერის ლითონის საგანი, ამოღებული შესასვლელი კარის ხელმარცხნივ დერეფანში მოთავსებული რკინის კარადიდან, ერთი ცალი შავი ფერის ლითონის საგანი, ამოღებული ბინაში შესასვლელიდან ხელმარცხნივ დერეფანში რკინის კარადიდან, **„ლ. ბ.-ს“** შესასვლელი კარის ორი ცალი სახელური, სამაგრები, მათ შორის ცილინდრული სამაგრი, ერთი ცალი ნაჭრის საწმენდი, ერთი ცალი კონდახის მსგავსი საგანი, შავი ფერის საგანი, ერთი ცალი ცილინდრული ფორმის შავი ფერის საგანი, T-ს ფორმის შავი ფერის ლითონის საგანი, თმის ღერი, საავადმყოფოს იურისტისგან ამოღებული ლითონის ფრაგმენტი, ავტომანქანის კარებიდან და ავტოფარების კარებიდან ამოღებული ლითონის ფრაგმენტები, ლითონის საგნები, **უ. ბ.-სგან** აღებული სისხლის ნიმუში, ავტომანქანიდან ამოღებული მოწითალო ფერის ლაქის ანაწმენდები, მოწითალო ფერის ლაქები, მინის ნატეხები მოწითალო ფერის ლაქებით, კენჭები მოწითალო ფერის ლაქებით, ხუთ თეთრიანი მონეტა, 6 ცალი ნიმუში ავტომანქანის უკანა მარჯვენა კარის შიდა საკეტიდან და გარე სახელურების ნიმუშებიდან, ანაწმენდები, ექსპერტების მიერ გამოყენებული ხელთათმანები, ორი ცალი მოწითალო ფერის ლაქის ანაწმენდი, ამოღებული **ვ. ი.-ს** საცხოვრებელი ბინიდან, **ვ. ი.-ს** ნერწყვის ნიმუში, **ვ. ი.-სგან** აღებული სისხლის ნიმუში, მოწითალო ფერის ლაქის ანაწმენდები, აღებული აბაზანაში მოთავსებული ნიჟარის ზედაპირიდან, სხვენზე ასასვლელი კიბის მე-9 და მე-10 საფეხურიდან ამოღებული ანაწმენდები, ორი ცალი მატერია, ასფალტის ამონატეხები, ავტომანქანა „მერსედესის“ რეზინის ფეხის საფენი, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული 10 ცალი დენტის ანაწმენდი დოლბანდებზე, საკონტოროლო ანაწმენდებთან და საკონტოროლო დოლბანდებთან ერთად, დენტის ანაწმენდები, განადგურდეს;

განაჩენი კანონიერ ძალაშია გამოცხადებისთანავე და სასჯელის ნაწილში ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას;

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (მდებარე ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32ა), მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე:

გ. კახეთელიძე

მოსამართლეები:

კ. მაჭავარიანი

მ. თეთრაული